საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

MINISTER OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030114513923517

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/37282 **09 / ივნისი / 2017 წ.**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრს ქალბატონ ქეთევან ციხელაშვილს

ქალბატონო ქეთევან,

თქვენი 2017 წლის 1 ივნისის N1332 წერილის პასუხად, წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მასში შემავალი სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ "სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის" 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობის (იანვარი-ივნისი) შესრულების ანგარიშს. კერძოდ:

შუალედური მიზანი 1.2. გენდერული მეინსტრიმინგი

ამოცანა 1.2.1. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვის ხელშეწყობა;

1.2.1.1. პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის" ფარგლებში გენდერული თანასწორობის შესახებ ტრენინგების შეხვედრების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;

საანგარიშო პერიოდში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი ინიციატივით სამცხე-ჯავახეთის გენდერული თანასწორობის ჯგუფი ჩამოყალიბდა. 2017 წლის 16 მაისს „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის" პროექტის ფარგლებში მობილური ჯგუფის წევრებს (მონაწილე 20) ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში ჩაუტარდათ სპეციალური მომზადების ტრენინგ-სემინარი „ოჯახში ძალადობის შესახებ". გენდერული თანასწორობის მობილური ჯგუფის წევრები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 20 სოფელში ერთი თვის განმავლობაში (ივნისის ბოლომდე) ჩაატარებენ ტრენინგებს ოჯახში ძალადობის შესახებ. ტრენინგებს ჩაატარებენ ორ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან :

- მასწავლებლებთან და მშობლებთან;
- თემის ლიდერებთან და მოსწავლეებთან.

ტრენინგის ფარგლებში მობილური ჯგუფის წევრები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა გენდერული სტერეოტიპები, ოჯახში ძალადობის გავლენა ბავშვებზე, მოძალადის მიტოვების ბარიერები, ძალადობის მსხვერპლის დაცვის სახელმწიფო მექანიზმები და სხვა.

ამოცანა 2.1.2 ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

2.1.2.1 ეთნიკური უმცირესობების ენებზე ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება/გავრცელება;

„თამბაქოს კონტროლის გაძლიერების ხელშეწყობის კომპონენტის'' ფარგლებში მომზადებული მასალები: თამბაქოს ამკრძალავი ნიშნები (250-250 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე); ფლაერი (500-500 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე); ბუკლეტი (500-500 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

,,ჯანსაღი კვების შესახებ განათლება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლების'' კომპონენტის ფარგლებში მომზადებული მასალები: ბუკლეტი (1500-1500 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე);

,,ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობის'' კომპონენტის ფარგლებში მომზადებული მასალები: ბუკლეტი (250-250 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე); პოსტერი (2000-2000 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობის'' კომპონენტის ფარგლებში მომზადებული მასალები: პოსტერი (250-250 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე); ბუკლეტი (750-750 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

მასალები გავრცელდება 2017 წლის განმავლობაში ყველა რეგიონში სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის დროს.

,,დაავადებათა გლობალური დეტექციის 1U19GH000963-03 საგრანტო პროექტის'' კომპონენტი ,,ზოონოზური დაავადებების ზედამხედველობის'' ფარგლებში დაიბეჭდა ჯილეხისა და ბრუცელოზის ბროშურები (20 000 – 20 000 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე); პოსტერები (2000 -2000 ცალი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

აღნიშნული მასალები, გასული და მიმდინარე წლის დასაწყისში უკვე გავრცელდა კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში.

2.1.2.2 მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტის (რუსულ, აზერბაიჯანული და სომხურ ენებზე) მომზადება/გავრცელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;

1000 ცალი რუსულ ენაზე; 2000 ცალი აზერბაიჯანულ ენაზე; 2000 ცალი სომხურ ენაზე,

აღნიშნული ბუკლეტების გავრცელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში (მათ შორის ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში) მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომლის შესრულების ვადას წარმოადგენდა 2017 წლის მეორე კვარტალი.

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებასთან და ასევე, აფხაზური ენის სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ შემდეგ ღონისძიებას: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ,,ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული ახალგაზრების სტაჟირების ხელშეწყობა".

პატივისცემით,

მინისტრი

დავით სერგეენკო